# საია-ს იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი იწვევს იურისტებს სემინარზე “არასათანადო მოპყრობის საჩივრებთან დაკავშირებული გამოძიების შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან”

2) არაადამიანური მოპყრობის პრევენციის მექანიზმები და ამ .მექანიზმების მნიშვნელობა არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიებისას

• დაკავების შესახებ ინფორმაციის მიწოდება

• დამცველის ყოლის უფლება

• სამედიცინო შემოწმებისა და ექიმის ნახვის უფლება

• დაკავებულისათვის მისი უფლებების გაცნობა

3) არაადამიანური მოპყრობის პრევენციის სხვა საშუალებები და მათი მნიშვნელობა არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიებისას

• თავისუფლების აღკვეთის აღრიცხვის ბარათები

• Bბრალდების მხარისა და სასამართლოს ვალდებულებები საწყის ეტაპზე

• თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სამედიცინო პერსონალის როლი

• თავისუფლების აღკვეთის დროს უფლებების შელახვასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების სხვა საშუალებები

4) კრიტერიუმები, რომელიც მიუთითებს არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიების ეფექტურობაზე

• დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

• გამოძიების ჩატარება უფლებამოსილი ორგანოს მიერ

• სრულყოფილი გამოძიება

• დროული გამოძიება

• დაზარალებულის მონაწილეობა გამოძიებაში და საზოგადოებრივი კონტროლი

იმისათვის, რომ სემინარში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცეს  მაქიმალურად მეტ სისხლის სამართლის სფეროში მომუშავე იურისტს, ჩატარდება 2 იდენტური სემინარი:

2-3 აპრილი, 2012 წელი

11-12 აპრილი, 2012 წელი,

სემინარში მონაწილეობა უფასოა. მონაწილეები ორგანიზატორების მიერ

უზრუნველყოფილნი იქნებიან აუცილებელი სასემინარო მასალებით, სადილითა და ყავა-შესვენებებით. თითოეული სემინარისათვის შეირჩევა 30 მონაწილე. (სულ ორივე სემინარზე 60). რეგიონებიდან თითოეულ სემინარზე შეირჩევა 5 მონაწილე (სულ 10). მათ აუნაზღაურდებათ მგზავრობა და თბილისში სასტუმროში განთავსება 3 ღამით.

თითოეული სემინარი 2 დღიანი და ჩატარდება თბილისში, შერატონი მეტეხი პალასში, დილის 10.00 სთ-დან საღამოს 18.00 სთ-მდე.

განცხადებების მიღების ბოლო ვადაა:

2-3 აპრილის ტრენინგისათვის - 29 მარტი

11-12 აპრილის ტრენინგისათვის - 2 აპრილი

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ ავტობიოგრაფია (CV) და ზემოთმითითებული თარიღებიდან თქვენთვის სასურველი ერთი თარიღი, (თარიღის მითითება აუცილებელია) შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: metreveli@gyla.ge

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: ტელ: 93 61 01 (125)

დავუკავშირდებით მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.

საკონტაქტო პირი: თამარ მეტრეველი